ოქმი:**ო37. 3724359001**

თარიღი:**24/12/2024**

ოქმი N 28

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი,23
დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

16.00- 16.40 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. დ. ჭაკნელიძე, ტ. არუშიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოში დამატებით შემოსული საკითხი: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“, ამ დამატებით ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

ბიუროს წევრმა მ. ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა-უახლოეს ხანში იგეგმება თუ არა საკრებულოს სხდომათა დარბაზის რეაბილიტაცია? განუმარტეს, რომ ბიუჯეტის ნაშთების განხილვისას მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა ბიუჯეტის ნაშთების წარმომავლობის თაობაზე- განუმარტეს, რომ ნაშთების ძირითადი წყაროა ხარჯებში გაწეული ეკონომია.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

გელა ჩავლეშვილი

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გ. ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე(ს.კ.26.26.47,371) 237 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 112 კვ.მ-ს სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე(ს.კ.26.26.31.009) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

7. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა მისი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანისათვის დაევალა დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

გადაწყვიტეს:

1. სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული N 1,2,3,4,5,6, 7 საკითხები შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით, N 7 საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა მისი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანისათვის დაევალა დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა 2025 წლის სამუშაო გეგმები.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი